

## საქართველოს საპროკურორო საბჭოს

2015 წლის 2 ნოემბრის სხდომის

ოქმი №1

თბილისი,

2 ნოემბერი, 2015 წელი

სხდომა დაიწყო 11.00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

**საქართველოს საპროკურორო საბჭოს (შემდგომში – საბჭოს) წევრები:**

- საბჭოს თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- ქალაქ თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი – ანა ვალანდაძე;
- ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილე – გიორგი გაბოძე;
- ქალაქ რუსთავის რაიონული პროკურორი – კონსტანტინე სირაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორი – გიგა ძნელაძე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე – ანზორ უსტიაძე;
- სამეცნიერო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი – მამუკა ფიფია;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – გოჩა ფარულავა;
- ქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი – ნათია სონდულაშვილი;
- მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – ვასილ მშვენიერაძე;
- ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – სერგო მეთოფიშვილი;

- სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელი, სასწავლო უნივერსიტეტ „ევროპული აკადემიის“ პროფესორი – პოლიკარპე (თემურ) მონიავა;
- სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ადვოკატი – ირმა ჭკადუა.

### **კომისიის სამდივნოს წარმომადგენელი:**

- ნათია ჩირიკაშვილი – იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 11:00 საათზე და შეამოწმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. საბჭოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 24 ოქტომბრის №105 ბრძანებით დამტკიცებული „საპროკურორო საბჭოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

### **თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მისასალმებელი სიტყვა;
2. საპროკურორო საბჭოს წევრების წარდგენა;
3. საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის მიერ წევრებისთვის ინფორმაციის გაცნობა მთავარი პროკურორობის უკვე წამოყენებული კანდიდატების შესახებ;
4. საორგანიზაციო საკითხები საბჭოს მომდევნო მუშაობასთან დაკავშირებით;
5. სხვადასხვა.

სხდომის გახსნისას თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დღეს იმართებოდა საქართველოს საპროკურორო საბჭოს პირველი სხდომა, რომელიც შეიქმნა ცოტა ხნის წინ განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმის შედეგად. შემდგომ საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით, კერძოდ, აღინიშნა, რომ საბჭო შედგება 15 წევრისგან, რომელსაც ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი. დღეს მდგომარეობით, საბჭოში წარმოდგენილია 14 წევრი: 8 საპროკურორო ორგანებიდან (პროკურორები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან), საბჭოს ჰუმანი

ერთი წარმომადგენელი ადვოკატთა წრეებიდან, ერთი დეპუტატი და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, საბჭოში წარმოდგენილია ორი მოსამართლე.

საბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოს ფუნქცია არ არის რომელიმე კონკრეტული საქმის გამომძიება; ასევე, არ არის საბჭოს ფუნქცია საპროკურორო ორგანოებს, მთავარ პროკურორს, მიუთითოს, რა მიმართულებით გამოიძიოს ესა თუ ის საქმე; დასაჯოს დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი წესით საქართველოს რომელიმე პროკურორი ან გამომძიებელი; სამაგიროდ, საბჭოს აქვს 2 მნიშვნელოვანი ფუნქცია: ერთი – შეარჩიოს საქართველოს მთავარი პროკურორი კანდიდატად, რომ წარადგინოს მთავრობასა და შემდეგ პარლამენტში, და მეორე – თუკი მთავარი პროკურორი ან მისი რომელიმე მოადგილე ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს, დანიშნოს საგანგებო პროკურორი ფაქტების დასადგენად, ამასთან, განიხილოს მათ წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების საქმე. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, ეს არის საბჭოს ფუძემდებლური ფუნქციები და წევრებს მოუწევთ მუშაობა პროკურორებთან ერთად პროკურატურის რეფორმის მომდევნო ეტაპებზე – ეს იქნება კანონის კიდევ უფრო დახვეწა, პროკურორების გაძლიერება და, ზოგადად, პროკურატურის ორგანოების რეპუტაციისა და სანდოობის ამაღლება საზოგადოებაში. თავმჯდომარის განმარტებით, ეს ის რთული საქმეა, რაზეც საბჭომ უნდა იმუშაოს მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.

დღის წესრიგის მიხედვით, თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს თითოეულ წევრს, წარმოედგინა საკუთარი თავი, რათა უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი.

მას შემდეგ, რაც საბჭოს ყველა წევრმა წარმოადგინა საკუთარი თავი მოკლე ბიოგრაფიით, თავმჯდომარემ მათ მიულოცა საბჭოში არჩევა და წარმატებები უსურვა, განსაკუთრებით, ქალ საბჭოს წევრებს, და აღნიშნა, რომ იგი მოხარულია მათი საბჭოში არჩევით, რაც კანონის დამსახურებაა, და გამოთქვა სურვილი, რომ კარგი იქნებოდა, პროკურატურის ორგანოებში უფრო მეტი ქალი ყოფილიყო ხელმძღვანელ თანამდებობებზეც. მან კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს ყველა წევრს და აღნიშნა, რომ საბჭოს ჰყავს კიდევ ერთი ქალი წევრი – ქალბატონი ეკა ბესელია, რომელიც ვერ ესწრება დღევანდელ სხდომას, რადგან არ იმყოფება საქართველოში.

რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობიდან ასარჩევ კანდიდატს, თავმჯდომარის განმარტებით, დასანანია, რომ უმცირესობამ არ წარმოადგინა კანდიდატურა, მიუხედავად იმისა, რომ მოითხოვეს, კანონით ჰქონდათ ასეთი კვოტა, რომელიც აღარ შეავსეს. დღეის მდგომარეობით, ამ მიზეზით საბჭო 14 წევრით არის

დაკომპლექტებული, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ვითარება ვერ შეუშლის ხელს საბჭოს მუშაობას.

დღის წესრიგის მიხედვით, თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მთავარი პროცესის უკე წამოყენებული კანდიდატების შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ 2015 წლის 13 ოქტომბერს მან წერილით მიმართა ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას; ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც თანამშრომლობენ იუსტიციის სამინისტროსთან სისხლის სამართლის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებსა თუ სხვა რეფორმებზე, რომ დაიწყო კონსულტაციები მთავარი პროცესის კანდიდატურის შესარჩევად და წარმოედგინათ კანდიდატები. კანდიდატურის წარმოდგენის მოწოდებით თავმჯდომარის მიერ გაკეთდა საჯარო განცხადებებიც.

როგორც საპროცესო საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, დღეის მდგომარეობით, შემოსულია სულ რამდენიმე წერილი, რომლებითაც წარმოდგენილია მხოლოდ სამი კანდიდატი: მთავარი პროცესის პირველი მოადგილე ირაკლი შოთაძე, ადვოკატი პაატა შავაძე და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი. საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს გააცნო ყველა იმ არასამთავრობო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამონათვალი, რომლებმაც წარმოადგინეს ზემოხსენებული კანდიდატები ან, უბრალოდ, მოსაზრებები საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით.

იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი კანდიდატებიდან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა, ბატონმა კახა კახიშვილმა, საჯაროდ მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, თავმჯდომარის განმარტებით, ის ვერ შეიყვანს მას საბჭოსთვის წარსადგენ სიაში. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, რჩება მხოლოდ ორი კანდიდატი – ირაკლი შოთაძე და პაატა შავაძე. როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა, პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ ჯერჯერობით ქალი კანდიდატურა არავის წამოუყენებია, და თუ დათქმულ ვადამდე არავის გაეწევა რეკომენდაცია, ის თავად წარადგენს. თუმცა, ჯერ უცნობია, ვინ იქნება ეს, რადგან რთულია კანდიდატის მოძიება, რომელიც მოთხოვნილ კრიტერიუმებსაც დააკმაყოფილებს და თავადაც ექნება სურვილი, იყოს მთავარი პროცესის კანდიდატი.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა მომდევნო სხდომის თარიღზე შეთანხმება. როგორც მან აღნიშნა, იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლის 13 ნოემბერს დასრულდება საჯარო კონსულტაციები, ამასთან, მზად იქნება მთავარი პროცესის კანდიდატურასთან დაკავშირებით შემოტანილი განცხადებების სია,

რაც გაეგზავნება საბჭოს ყველა წევრს და საჯაროდაც გამოქვეყნდება, პარლამენტის გრაფიკიდან გამომდინარე, საბჭოსთვის მომდევნო სხდომის თარიღად შეთავაზებულ იქნა 2015 წლის 19 ნოემბერი, 11:00 საათი, რაც ერთხმად იქნა გაზიარებული.

ვინაიდან არც კანონში და არც საპროკურორო საბჭოს დებულებაში არ არის გაწერილი კენჭისყრამდე პროცესის მექანიზმები და არსებობს რისკები იმისა, რომ იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი 3 კანდიდატიდან საბჭოს წევრები შეიძლება არ იცნობდნენ რომელიმე მათგანს, თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, გამოეთქვათ მოსაზრებები, ხომ არ იქნებოდა უკეთესი კენჭისყრამდე ამ სამი კანდიდატის დაბარება და მათთან გასაუბრება.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა საბჭოს წევრი პროკურორი გიორგი გაბოძე და აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, იცნობს თუ არა საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ კანდიდატს, მას აინტერესებს, რა გეგმები აქვს მთავარი პროკურორობის კანდიდატს დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკაზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე, ზოგადად, სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, საკადრო განვითარებაზე და სხვა. გიორგი გაბოძის განმარტებით, მნიშვნელოვანია, საბჭომ მოუსმინოს სამივე კანდიდატს და შემდგომ უყაროს კენჭი.

წარმოდგენილ მოსაზრებას დაეთანხმა, ასევე, საბჭოს წევრი, ადვოკატი ირმა ჭავადუა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია კენჭისყრამდე კანდიდატების მოსმენა, მიუხედავად იმისა, ვიცნობთ თუ არა წარმოდგენილ კანდიდატს. მისი თქმით, უამრავი პრეტენზია არსებობს, ზოგადად, პროკურატურის მუშაობასთან, სამართლიანობის აღდგენასთან, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენ კომისიასთან დაკავშირებით და ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ სამუშაო გეგმას წარადგენს კანდიდატი.

იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა კენჭისყრამდე წარმოდგენილ კანდიდატებთან გასაუბრების აუცილებლობას, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საჭირო იქნება კანდიდატების გაფრთხილება მოსალოდნელ გასაუბრებასთან დაკავშირებით და სამდივნოს მიერ იმ კითხვების მიწოდება მათთვის, რაც საინტერესო იქნება საბჭოსთვის მოსასმენად.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სამდივნოს დაევალა, საბჭოსთვის წარსადგენი 3 კანდიდატი 19 ოქტომბრის სხდომისთვის დაიბაროს ანბანის რიგითობით და გააფრთხილოს ისინი იმ საკითხებთან დაკავშირებით, თუ რა აინტერესებს საბჭოს მათგან. კერძოდ, წარმოადგინონ, როგორ ესახებათ პროკურატურის ორგანოების განვითარება; რა არის, ზოგადად, მათი ხედვა მირითად პრობლემებთან დაკავშირებით

და რა მიმართულებით აპირებენ, წაიყვანონ პროცესურატურა მომდევნო 6 წლის განმავლობაში.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ წევრებს მიმართა – ხომ არ სურდათ მოსაზრებების ან რჩევების მოწოდება წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებთ. როგორც სასწავლო უნივერსიტეტ „ევროპული აკადემიის“ პროფესორმა, ბატონმა პოლიკარპე (თემურ) მონიავამ, აღნიშნა, მას პროცესურატურის ორგანოებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და ყოველთვის რჩება მისი გულშემატკივარი, რაც აძლევს საშუალებას, დღეს უკვე გარედან დაინახოს არსებული პრობლემები და მისცეს მთავარი პროცესურორობის კანდიდატს რჩევები. ბატონი პოლიკარპე (თემურ) მონიავას აზრით, პროცესურატურის ძირითად გამოწვევად რჩება ადამიანური რესურსის საკითხი, რადგან არსებულ პროცესურორთა რაოდენობა, რაც, მისი ინფორმაციით, 530-მდე, არ არის საკმარისი დღეს პროცესურატურის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად; მნიშვნელოვანია, სტატისტიკურად გამოითვალის, ერთ პროცესურორზე წელიწადში რამდენი საქმე მოდის და ისე მოხდეს ადამიანური რესურსის გაზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი მთავარი პროცესურორი ამ საქმისათვის განწირული იქნება, რადგან ეს ძალიან მძიმე ტვირთია.

თავმჯდომარის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ის შერჩეულ მთავარი პროცესურორობის კანდიდატს წარუდგენს მთავრობასა და სასამართლოს, ამ საკითხზე საბჭოს ფუნქცია ამოიწურება, თუმცა, საბჭოს მოუწევს მუშაობა მომდევნო რეფორმის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით. მაგალითისთვის მან მოიყვანა დისციპლინური საკითხები: მას შემდეგ, რაც იუსტიციის სამინისტროსა და პროცესურატურის გენერალური ინსპექციები გაიყო, საინტერესოა, როგორ ხდება შიგნით დისციპლინური საკითხების სამართალწარმოება, როგორია სტატისტიკა, ისჯება თუ არა ვინმე. როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა, გენერალური ინსპექცია არ უნდა იყოს პროცესურორების სადამსჯელო ორგანო, რომ არ გამოიწვიოს პროცესურორთა დემოტივაცია. თუმცა ანგარიშვალდებულებისათვის საზოგადოებასთან მიმართებით ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებაში არ იყოს დაუსჯელობის განცდა.

ამას გარდა, როგორც თავმჯდომარემ განაცხადა, გასარკვევია პროცესურორთა დაწინაურების საკითხები და ყველა ის აქტუალური თემა, რაც უკვე აღინიშნა საბჭოს სხდომაზე. მან კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება, რომ ეს რეფორმა მთავარი პროცესურორობის კანდიდატის არჩევით არ სრულდება და კარგია, რომ საბჭოში წარმოდგენილია ყველა ის სეგმენტი – ადვოკატები, მოსამართლეები და პროცესურორები, რომელთაც ეხებათ საკანონმდებლო რეფორმა. თავმჯდომარემ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოს ფუნქცია არ არის, ჩაერიოს ინდივიდუალურ საქმეებში.

როგორც საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, გარდა ზემოხსენებული საკითხებისა, საბჭომ უნდა შეიმუშაოს პროცესურორების გადამზადების 2-წლიანი სტრატეგია, რაც მიზნად უნდა ისახავდეს პროცესურორების ცოდნის ამაღლებას, მათ შორის, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნაწილში; პროცესურორებმა უნდა იცოდნენ, როგორ გამოიძიონ, მაგალითისთვის, სიცოცხლის უფლების საქმე, რომ არ დაარღვიონ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი და სხვა. ასევე, ბევრ პროცესურორს სჭირდება გადამზადება.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ამ ფორუმს საბჭო სისხლის სამართლის პოლიტიკის თემებზე სამსჯელოდაც გამოიყენებს, რომ მოსმენილ იქნეს ყველას აზრი და ამ ფორმითაც გახდეს პროცესურატურის ორგანოები უფრო გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი.

საბჭომ მოისმინა, ასევე, პროცესურორ გიორგი გაბოძის წინადადება მოსალოდნელი ფარული კენჭისყრის ტექნიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით.

ამას გარდა, საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, თუ ჰქონდათ სურვილი, კენჭისყრაზე მოეწვიათ დამკვირვებლები, რასაც წევრების მხრიდან დადებითი შეფასება მოჰყვა.

ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირა, ასევე, საბჭოს წევრმა ირმა ჭკადუამ და აღნიშნა, რომ საბჭოს ფორმატში სამომავლოდ ადვოკატთა ასოციაციასაც ექნება წინადადება პროცესურორების, ადვოკატებისა და მოსამართლეებისთვის ერთიანი ეთიკის კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებით. ამასთან, მან აღნიშნა, რომ არასრულწლოვანთა მიმართებით არსებობს სერიოზული პრობლემები და ამ თემის მიმართ ყოველთვის ექნება განსაკუთრებული დამოკიდებულება, რათა ამ მიმართულებითაც გაწეულ იქნეს გარკვეული რეკომენდაციები.

სხდომის დასასრულ, საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს მადლობა გადაუხადა. მომდევნო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2015 წლის 19 ნოემბერი, 11:00 საათი.

სხდომა დასრულდა 11:45 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

თეა წულუკიანი – 

საბჭოს წევრები:

ანა კალანდაძე

გიორგი გაბოძე

კონსტანტინე სირაძე

გიგა მნელაძე

ანზორ უსტიაძე

მამუკა ფიფია

გოჩა ფარულავა

ნათია სონდულაშვილი

ვასილ მშვენიერაძე

სერგო მეთოფიშვილი

პოლიკარპე (თემურ) მონიავა

ირმა ჭვადუა